იმ დღის გახსენება

იმ შორეული იდილიური, როგორც დღეს ჩანს, და უიმედო ხანის, როგორც მაშინ იყო, 1969 წლის ნოემბრის მიწურულს, მტკვრის სანაპირო ქუჩის კლინიკა, სადაც შოთა კვდებოდა, უჩვეულო მოძრაობის – სხვადასხვა თაობის ერთმანეთის ნაცნობ-უცნობ ადამიანთა განუწყვეტელი მოდინების მოწმე გახდა. პალატის კარს უკან მისი ეგზისტენცია უკანასკნელ ამოსუნთქვებს ითვლიდა, მეტაფიზიკურ სივრცეში გადასასვლელად ემზადებოდა, გარეთ კი დერეფნებში, კიბეებზე, პარმაღში, ეზოში, ტროტუარზე, ქუჩაში ისინი დარაჯად იდგნენ და ელოდნენ. თუ სადმე ოდესმე მომხდარა, რომ მოლოდინს, ლოდინს თავისი პირველქმნილი, გაუცვეთელი, არაყოფითი, სრულყოფილი შინაარსი დაუმოწმებია, ეს მაშინ და იქ ხდებოდა. თითქოს ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირს გაჰყურებდნენ, საითკენაც ნავი გადადიოდა. ელოდნენ გასულფონებას – ან გაღმა გასვლას, რაც უთუოდ შვებად აღიქმებოდა, ან უკან დაბრუნებას, რაც დაღონებულ სახეებს მაღლა ასწევდა. თავისი აუცდენელი რეალობით საბედისწერო ზღურბლის ეს საერთო განცდა აახლოებდა ადამიანებს; ერთმანეთს აცნობდა და აამხანაგებდა მანამდე უცნობებს, სრულიად უცხოთაც კი, სხვადასხვა მხრიდან მოსულთ მხოლოდ ამ დღეებისთვის უკანასკნელ შეხვედრაზე, თითქოს ქვეყნის დასასრულის შესაგებებლად თავშეყრილთ. ახლოვდებოდა დიდი დღე, რაღაც მნიშვნელოვანის დადასტურების ჟამი, რაღაც დაფარულის მანიფესტაცია. მაშინ მათი გამოცდილება რაღაც ახლით, მანამდე განუცდელით ივსებოდა. ეს დღეები ზღურბლი იყო არა მხოლოდ იმისთვის, ვინც სტოვებდა აქაურობას, არამედ მათთვისაც. იქნებ ბევრს ბოლომდე არც ჰქონოდა გააზრებული, მაგრამ ქვეშეცნეულად ხვდებოდნენ, რომ სიკვდილი თავისი დაფარულით და გარდაუვალი სიცხადით ეფემერულ და ზერელე სიცოცხლეზე

მნიშვნელოვანს მოიცავს. მოიცავს “სხვა სიხარულს” (მისი ლექსის სიტყვებით) და დიდებას (ბიბლიური მნიშვნელობით: ქებად, დოქსა, გლორია), რაც კლინიკურ მორიბუნდუსს, ერთს იმ მრავალთაგან წარსულ-მომავალში, ვის განსვლასაც ის კედლები შესწრებიან და კვლავაც შეესწრებოდნენ, თეთრხალათიანთა თვალში თავის კანონიერ განუმეორებლობას უბრუნებდა. და ეს ერთად შეყრილი ბევრი ხალხის თუნდაც უბრალო იქმყოფობით ხდებოდა.

ის კვდებოდა და ამ ყოფაში ერთადერთი მისთვის შესაძლებელი აქტით, ამ პრივილეგიით, რასაც ვერაფერი გააუქმებდა, უკანასკნელად იკრებდა თავისთან ყველას; სიკვდილის წინ იბრუნებდა თითოეულისთვის სათითაოდ და ყველასთვის ერთიანად გაღებულს; დუმილში, მოლოდინის დაძაბულ მდინარებაში ითხზვებოდა მათთვის ყველასთვის საერთო და საკუთრივი – უკანასკნელი ლექსი მისი სამარადჟამო სახებისთვის მათ ხსოვნაში.

ზურაბ კიკნაძე